



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო
ბრძანება 2107



KA012094235995015

28 / მაისი / 2015 წ.

თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებულ ზოგიერთ სააღსრულებო საქმეზე აუქციონის შედეგების გაუქმებისა და მიმდინარე აუქციონების შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს (შემდგომში - აღსრულების ეროვნული ბიურო) თავმჯდომარემ განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 22 მაისის #19-05/1415 წერილი, რომლის თანახმად ავტორი ითხოვს 2015 წლის 21 მაისიდან 13:55 საათიდან 15:05 საათამდე ჩატარებული აუქციონების შედეგების გაუქმების საკითხის განხილვას, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2015 წლის 21 მაისს ინტერნეტ აუქციონების პორტალზე www.eauction.ge - ზე დაფიქსირდა კიბერშეტევა „სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის“ სერვერულ ინფრასტრუქტურაზე, რამაც გამოიწვია წვდომის შეზღუდვა ელექტრონულ სისტემებზე, მათ შორის ელექტრონულ აუქციონზეც.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 18³ მუხლის მე-11 პუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 6 მაისის №24 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარემ გადაწყვიტა:

1. გაუქმდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოების - სააღსრულებო ბიუროების აღმასრულებლების მოქმედება:

1.1 A15007566 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი №15771, ლოტი №10889);

1.2 A15007566 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი №15768, ლოტი №10891);

1.3 A11016401 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი №15818, ლოტი №10776);

1.4 A15013722 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი

№15851, ლოტი №10920);

1.5 A15014440 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი №15854, ლოტი №10922);

1.6 A15022022 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი 15861, ლოტი #10925);

1.7 A14091106 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი №15858, ლოტი #10910);

1.8 A14094970 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი №15864, ლოტი # 10878);

1.9 A15019410 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი №15874, ლოტი #10928);

1.10 A15000834 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი #15879, ლოტი №10931);

1.11 A14070251 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი #14988, ლოტი #10381);

1.12 A14084881 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი #15884, ლოტი #10936);

1.13 A14096349 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი #15509, ლოტი #10715);

1.14 A15025382 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი #15593, ლოტი #10778);

1.15 A14094746 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი #15596 , ლოტი #10447);

1.16 A15011428 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი #15647, ლოტი #10800);

1.17 A15008522 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი #15887, ლოტი #10937);

1.18 A15008940 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი #15578, ლოტი #10681);

1.19 A15005209 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი #15602, ლოტი #10782);

1.20 A13013365 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი #15909, ლოტი 10951);

1.21 A15023990 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი #15644 , ლოტი 10799);

1.22 A11016401 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი #15827, ლოტი 10631)

1.23 A15007590 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი #15839 ლოტი 10915)

1.44 A15015491 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი 15299, ლოტი 10593)

1.45 A11036498 სააღსრულებო საქმეზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგი (აუქციონი 15882, ლოტი 10934)

2. შეწყდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოების - სააღსრულებო ბიუროების წარმოებაში არსებულ:

2.1) A15007566 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15769, ლოტი №10891);

2.2) A15007566 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15772, ლოტი №10889);

2.3 A11016401 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15819, ლოტი №10776);

2.4 A15013722 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15852, ლოტი №10920);

2.5 A15014440 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15855, ლოტი №10922);

2.6 A15022022 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15862, ლოტი №10925);

2.7 A14091106 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15859, ლოტი №10910);

2.8 A14094970 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15865, ლოტი №10878);

2.9 A15019410 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15875, ლოტი №10928);

2.10 A15000834 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15880, ლოტი №10931);

2.11 A14084881 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15885, ლოტი №10936);

2.12 A14096349 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15510, ლოტი №10715);

2.13 A15025382 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15594, ლოტი №10778);

2.14 A14094746 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15597, ლოტი №10447);

2.15 A15011428 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15649, ლოტი №10800);

2.16 A15008522 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15888, ლოტი №10937);

2.17 A15008940 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15579, ლოტი №10681);

2.18 A15005209 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15603, ლოტი №10782);

2.19 A15023990 სააღსრულებო საქმეზე მიმდინარე აუქციონი (აუქციონი №15646, ლოტი №10799);

3. ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ აუქციონებში მონაწილე ან/და გამარჯვებულ პირებს დაუბრუნდეთ მათ მიერ გადახდილი საგარანტიო თანხა;

4. ამ ბრძანების პირველ და მეორე პუნქტში მითითებული აუქციონები გამოცხადდეს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით;

5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

წინამდებარე ბრძანების გამოცემისას აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ მხედველობაში იქნა მიღებული საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი ნორმები:

ფაქტობრივი გარემოებები:

2015 წლის 27 მაისს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს წერილით მომართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ და ითხოვა 2015 წლის 21 მაისიდან 13:55 საათიდან 15:05 საათამდე ჩატარებული აუქციონების შედეგების გაუქმების საკითხის განხილვა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2015 წლის 21 მაისს ინტერნეტ აუქციონების პორტალზე, www.eauction.ge - ზე დაფიქსირდა კიბერშეტევა „სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის“ სერვერულ ინფრასტრუქტურაზე, რამაც გამოიწვია წვდომის შეზღუდვა ელექტრონულ სისტემებზე, მათ შორის ელექტრონულ აუქციონზეც, რის შედეგადაც ნაწილი მომხმარებლებისთვის ტექნიკურად შეუძლებელი იყო ვებ-გვერდზე სასურველი ქმედებების განხორციელება, კერძოდ, ვებ-გვერდზე შესვლა, საგარანტიო თანხის გადახდა, ბიჯის განხორციელება და ა.შ. ასევე წერილში მითითებულ იქნა, რომ ამავე დღის 15:05 საათიდან 18:00 საათამდე ჩატარებულ აუქციონებზეც შესაძლებელი იყო გავლენა მოეხდინა აღნიშნულ ტექნიკურ ხარვეზს და შესაბამისად, ამ პერიოდში დასრულებულ აუქციონების შედეგებთან დაკავშირებითაც ითხოვა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

სამართლებრივი დასაბუთება:

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 18³ მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გააუქმოს აღმასრულებლის მიერ განხორციელებული სააღსრულებო მოქმედება.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე უფლებამოსილია, რომ შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, როდესაც, იკვეთება აღმასრულებლის მიერ განხორციელებული მოქმედების გაუქმების საფუძველი, იმ დაინტერესებული პირის მომართვის გარეშეც, რომლის უფლებებსა და კანონიერ ინტერესზედაც გავლენას ახდენს აღმასრულებლის მოქმედება, თავისივე ინიციატივით მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და გააუქმოს აღმასრულებლის მიერ განხორციელებული სააღსრულებო მოქმედება.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით 69-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,თუ მოვალე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ქონების მესაკუთრედ, აღსრულების ეროვნული ბიურო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს იძულებითი აუქციონის ჩატარებას.

„იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის 21 ბრძანებით დამტკიცებული იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმებისა და წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიურო ვალდებულია, რომ აუქციონის შესახებ სპეციალური საჯარო განცხადება განათავსოს ვებგვერდზე: www.eauction.ge ან/და www.nbe.gov.ge;

აღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, ნათელია, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს ვალდებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით აუქციონის შესახებ სპეციალური საჯარო განცხადება განათავსოს ვებგვერდზე: www.eauction.ge ან/და www.nbe.gov.ge და ჩაატაროს აუქციონი, მოიცავს აუქციონის ჩატარებას ისეთ რეჟიმში, რა დროსაც უზრუნველყოფილი იქნება აუქციონზე გატანილი ქონების შეძენით დაინტერესებული პირებისათვის აუქციონზე მონაწილეობის ხელმისაწვდომობა და ვაჭრობა დადგენილი წესითა და პირობებით.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებელია აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე“.

განსაკუთრებული ვითარებისას აუქციონის შეწყვეტა წარმოადგენს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის დისკრეციულ უფლებამოსილებას, რისი განხორციელების პროცესში აუცილებელია, დაცული იქნეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი.

მოცემულ შემთხვევაში, ზემოთ მითითებული აუქციონები ჩატარდა და ცალკეულ შემთხვევაში გამოვლინდა გამარჯვებული პირიც იმ ვითარებაში, როდესაც ვებგვერდი www.eauction.ge, სადაც განთავსებული იყო აღსრულების ეროვნული ბიუროს სპეციალური საჯარო განცხადებები აუქციონის თაობაზე, როგორც ირკვევა სსიპ

„ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან, მუშაობდა შეფერხებით (2015 წლის 21 მაისის 13:55 სთ-დან 15:05 სთ-მდე). ამასთან, შემდგომ საათებშიც (15:05 საათიდან 18:00 საათამდე) დასრულებულ აუქციონებზეც შესაძლებელი იყო გავლენა მოეხდინა აღნიშნულ ტექნიკურ ხარვეზს. აღნიშნული გარემოება კი ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ მითითებულ პერიოდში აუქციონზე გატანილი ქონების შემენით დაინტერესებული პირების გარკვეულმა რაოდენობამ ვერ მიიღო მონაწილეობა აუქციონში, რომელთა მონაწილეობის შემთხვევაშიც, შესაძლოა სხვაგვარი შედეგით დასრულებულიყო აუქციონები. ამ გარემოებამ კი გარკვეულწილად განაპირობა მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვა.

აღსანიშნავია ასევე ის გარემოებაც, რომ იმ აუქციონების შედეგების გაუქმება, რომლებზეც გამოვლენილია გამარჯვებული პირი, გავლენას ახდენს გამარჯვებული პირების კანონიერ ინტერესებზეც. ამავდროულად მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ პირთა წრის ასევე კანონით დაცული ინტერესი, რომლებსაც შეეზღუდათ აუქციონში მონაწილეობის უფლება, ასევე ის გარემოებაც, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აუქციონების კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცხადების შემდგომ, აუქციონში გამარჯვებულ პირებს შეუძლიათ ხელმეორედ მიიღონ მონაწილეობა აუქციონში.

აღნიშნული გარემოებები მხედველობაში იქნა მიღებული აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ და მიჩნეულ იქნა რა განსაკუთრებულ ვითარებად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ იმ სააღსრულებო საქმეებზე, რომლის ფარგლებშიც ჩატარებულ აუქციონებზე გამოვლინდა გამარჯვებული პირი, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 18³ მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე გაუქმდეს აღმასრულებლის მოქმედება - აუქციონის გამოცხადება და აუქციონის შედეგი, ხოლო ის აუქციონები, იმ სააღსრულებო საქმეებზე, რომლის ფარგლებშიც ჩატარებულ აუქციონებზე არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი და გამოცხადდა განმეორებითი აუქციონები - შეწყდეს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6) მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ოსებ ბაღათურია